

## იმედი და რწმენა

მთავარია ცხოვრებაში  
იმედი და რწმენა,  
ბრძოლა თავისუფლებისთვის,  
არა ცრემლის დენა.

მეგობრობის განმტკიცება,  
არასოდეს წყენა.  
ერთობა და სიყვარული,  
არა – შური, კბენა.

მომავალზე ოცნებები;  
ჭირში წრთობა, თმენა,  
შრომა კეთილი საქმისთვის,  
მშვიდობა და ლხენა.

გწამდეს შენი უბედური  
ერი, დედა-ენა,  
მისი ბედის გზის ძებნა  
და მფარველი ზენა.

ისევ მედგრად, შეუპოვრად,  
წინ სვლა, ალმაფრენა.  
მთავარია ცხოვრებაში  
იმედი და რწმენა.

დიმიტრი ქიმერიძე  
სოშო (საფრანგეთი)  
1978 წლის 26 მაისი